



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 167

2011 წლის 25 ნოემბერი
ქალაქი ხაშური

საავტომობილო საწვავის (ბენზინის) გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 21 ნოემბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110029650) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი საავტომობილო საწვავის (ბენზინის) შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 25 ნოემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოსათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის, მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის, გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისათვის, სახანძრო დაცვის სამსახურისა და პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბიუროსათვის საწვავის მიწოდება კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოსათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის, მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის, გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისათვის, სახანძრო დაცვის სამსახურისა და პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბიუროსათვის მისაწოდებლად საავტომობილო საწვავის (ბენზინის) გამარტივებული შესყიდვა.

2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.

3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

